

1960



№ 19 თბილისი თბოგაზეთი 1960

**გაზეთი**

გაზეთის მმართველის XXXVIII ყრილობა, ფასი 2 ზანი.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“



# ფიქრები ზედათი

ზაფხულის ერთ საღამოს თბილისის ხორცკომბინატის დაცვის უფროსს და-  
ვით მარკოზაშვილს და ყარაულის უფროსს იონა ვარდანას თვალები შუბლზე  
ავორებოდან და შინ მიმავალ მუშებს ეჭვით აკვირდებოდნენ.

— გიორგევიჩ!—წაიჩურჩულა იონამ,—ამ ჩვენს ნინო მხითაროვას თუ  
ამჩნევ, წელი როგორ დამსხვილებია!

— მართლა, კაცო!

— რაისა კარგადაც შეხედე, ამასაც კარგა მსხვილი წელი აქვს...  
ეკატერინე მანუჩაროვაც ნახე!

— ფეხმძიმედ იქნებიან.

— დილით რომ გამხდრები იყვნენ?!

ხორცკომბინატის დაცვაში ოფლდაღვრილი დავითი და იონა იმ საღამოს  
ამ დასკვნით დაკმაყოფილდნენ. დილით ნინოს, რაისას და ეკატერინეს ფეხმძი-  
მობა საეჭვო გახდა: სამივეს წელი ისევე დასწვრილებოდა. მოსალამოვდა და  
დავით და იონა გასასვლელთან აიტუზნენ. ქალებმა არ დააყოვნეს. ამით ცო-  
ლიც ცუდგურიანი და თელი მამედ კიზი რუსტამოვა შეერთებოდნენ და ხუთი მუ-  
ცელგაბერილი და წელდამსხვილებული ქალი სათითაოდ გაეხირა კარებში.

— დედა, დედა! ეს რა ღვთისწყობაა?—უკვირდა იონას.—ცოლიკა და  
თელიც დაიბრუნებულან? ხუთი ფეხმძიმე ქალი ერთ კომბინატში ბევრი არ  
იქნება?

დავითს უნდოდა რაღაც ეთქვა, პირიც დააღო და ასევე დარჩა: გასასვლელ-  
ში აბრამ იოსებიშვილი, მიკიჩა მინასიანი, ხიდირ სადოევი და ტრიფონ და-  
ნელია გამოჩნდნენ.

— დედა, დედა, დედა!—გაასავსავა ხელები იონამ.—კაცებს რაღა დაემარ-  
თათ, ესენიც ორსულად არიან? დილაზე რომ ტანწერწეტები იყვნენ, ახლა რა-  
მოდენა ღიბი ადევთ?

დავითმა შუბლზე გამოდენილი ოფლი მოიწმინდა, თან იონას გადახედა  
შიშით—ეს კაცი არ გამიგიჟდესო და სცადა დაეშვიდებინა:

— ვენაცვალე ჩვენს დირექტორს—სევერიან დარჯანიას, ისეთი დაცვა  
ჰყავს, მაძღრად ვყავართ, რა გასაკვირია, გამხდარი კაცი ერთ ღღეში გა-  
სუქდეს.

დავითი ჯერ ისევე დირექტორის ქებაში იყო, რომ აბრამ იოსებიშვილის  
კივილმა ცა გააბო, რომელსაც მილიციის ორი თანამშრომელი ჩაფრენოდა და  
„ორსულობის“ მიზეზს უმოწმებდნენ. აბრამი ეჭვის კილო ძეხვით აღმოჩნდა  
„ფეხმძიმედ“. ძეხვის ნაჭრები სათითაოდ ამოუწყეს ქვედა საცვლიდან. აბრამს  
კივილი არ დაესრულებინა, რომ მიკიჩა მინასიანის მოძახილი შავნაბადას მის-  
წვდა—ეს რვა კილო ხორციტ ყოფილა „ფეხმძიმე“. მათ შემდეგ ისევე რვა-რვა  
კილო ხორციტ „შუქდოდ გამხდარი“ ტრიფონ დანელია და ხიდირ სადოევი  
აბლაგლდა. მიუხედავად დიდი ტკივილებისა, «ოპერაციაში» გართულების გარეშე  
ჩაიარა და ჯერი ქალებზე მიდგა. რაისას, ნინოს, ცოლიკას და თელის ეკატე-  
რინემ აჯობა; ესენი თუ თითო 7 ან 8 კილო ხორციტ იყვნენ «ფეხმძიმედ», ეკა-  
ტერინეს მთელი ათი კილო ხორციტ გაეკარა გვერდებზე და მუცელზე და ისე  
დამრგვალებულიყო, რომ ნეტარხსენებული ლუარსაბ თათქარიძის მეუღლე  
დარეჯანი მასთან შედარებით რუსთაველის პროსპექტზე მოსიერნე „სტილნი“  
ქალიშვილად მოგეჩვენებოდათ.

დავითი და იონა ბირდაღებული იდგნენ.

— ფოკუსია თუ ცხადლივ ვხედავთ, დავით ჩემო?—ამოღერდა იონამ.

— დალოცვილო,—მიახალა მილიციელმა,—მეტი ოინზაზობა რაღა იქნება.  
თქვენ ცხვირწინ ამოდენა ქონება გააქვთ, თქვენ კი ბირდაღებული შესცქერით.

— რა ვიცით, ძმობილო, ჩვენ ორსულები გვეგონა და...

— ყარაულები ხომ გიყენიათ, იმათ რაღა ეგონათ?

— შე დალოცვილო, ყარაული გინეკოლოგი ხომ არაა, მიხედეს—ადამია  
წი ფეხმძიმედაა თუ ხორცი გააქვს.

რომ გააქვთ, ნათელია. ხოლო, სად გააქვთ, ამასაც ხომ უნდა გაგებთ?

... კომბინატის ტერიტორიაზე მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტის  
მუშა-მოსამსახურეთა № 111 სასადილო მუშებს თბილ ლიმონათსა და ცივ ჩაის  
ასმევენ: უფრო მაღალგრადუსიანი სასმელი აქ აკრძალულია: სამაგიეროდ, კომ-  
ბინატიდან რაღაც 30 მეტრის დაშორებით ამ სასადილოს № 1 ფილიალში  
გამუქმებით შიშინებს მწვადი, არაყი მაგარ ძეწვეს ჰკრავს და ლუდიც საკ-  
მაოდ მაღალ ქაფს იყენებს. თავათ მებუფეთე იპოლიტე გრძელიშვილი დღედა-  
ღამე იწაფება და მუშტარს თვალს უშამს: ამ ცოტა ხნის წინათ აუბა იპოლი-  
ტემ თვალები მიწილ მაგდალასოვსა და კონსტანტინე იუსუფოვს და „სულ  
რაღაც“ 14 მამუთი და 47 კაპიკი დატყუა ზედმეტი. კიდევ ამას წინათ მილი-  
ციის თანამშრომლებმა მოხე შაქარაშვილმა და მიხეილ ფრიდონაშვილმა კომ-  
ბინატის ოთხი „ფეხმძიმე“ ქალი დააკავეს და ღროვებით იპოლიტეს ფილიალში  
შეიყვანეს. ტიღრე ფრიდონაშვილმ მილიციაში დარეკავდა: იპოლიტემ ქალები

საიდუმლო კარიდან გააპარა, ფილიალში კი 9 კილო მოპარული ხორცი  
„დარჩა“. იპოლიტეს ასეთი მზრუნველობა „ფეხმძიმე“ და ხელმსუბუქი ქალე-  
ბისადმი იმით ფასდება, რომ ფილიალში დიდიდან გვიან ღამემდე შიშინებს  
მწვადი, რასაც ფაქტურით მოტანილი ხორცი ერთ საათსაც არ ეყოფა, ამიტო-  
მაც მართებს ზრუნვა იპოლიტეს „მომმარაგებლებისადმი“. ასეთი „ფილიალე-  
ბი“ სხვაც ბევრია ახლომახლო და მათთვის შავი ბაზარი ჯერ არ გაუქმებულა,  
სადაც კომბინატიდან მოპარული ხორცი მიაქვთ გასასალბლად.

მერედა, ამას რა ბალანსი უძლებს? ამბობენ, უძლებსო! თუ უძლებს,  
ალბათ მხოლოდ იმის წყალობით, რომ თვითონ ბალანსიც ფეხმძიმედაა და იმ-  
დენსავე მოგებას შობს, რამდენ დანაკლის საც კომბინატი განიცდის საეუთარი  
დაცვის წყალობით.

აფერუმ მათ დაცვას და მათ ბალანსს!


ლ. გონჯაძე

გ. ჯამბაურძე

ნან. ე. ამაშუკელისა



საოცრება რუსთაველის პროსპექტზე.



კარჩაკეტილი კარის მეზობლები.

ნახ. ა. კანდელაკისა

# ქალუბის მომსახურებელთა დასახმარებლად

## კონსულტანტი მზიმ ფაღოს-ძე ბოლოთავეი

ადამიანი როდესაც რაიმე სპეციალობას ეუფლება, მუდამ ერთი მიზანი აქვს, ამ სპეციალობით ირჩინოს თავი. სპეციალობის ის დარგი, რომლის შესახებაც ახლა მექნება საუბარი, ისტორიულად არ ითვლებოდა სპეციალობად. პირიქით, ეს იყო მამაკაცისათვის მძიმე უღელი, ცოლ-ქმრობად წოდებული, მაგრამ დროთა განმავლობაში ადამიანთა ურთიერთობის ეს დარგი პროფესიად იქცა და ახლა ამ დარგში მრავალი კვალიფიცირებული კადრი გაგვარჩნია.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ქალთა შორისაც გვხვდებიან ამ დარგის კარგი სპეციალისტები, მაგრამ მე მამაკაცთა შესახებ მოგახსენებთ, რადგან ეს განხრა ჩემთვის უფრო ნაცნობია და საკმაოდ გამოცდილებაც გამაჩნია ამ მიმართულებით. მე უკვე ხუთოსანი ვარ (ხუთი ცოლი მყავდა).

I. როგორ ვაქციეთ ქმრობა სპეციალობად?

ამისათვის საჭიროა დავადგინოთ ქალის ქონებრივი ცენზი განურჩევლად ასაკისა და განათლებისა.

II. როგორ მოვიხილოთ საცოლე?

მივიღოთ დაახლოებით ისეთი ანგელოსური გამომეტყველება, როგორც მე მაქვს ამ ფოტოსურათზე. ჩავუვარდეთ მუხლებში ქალს და წამოვიძახოთ «როზა (ეს ჩემი პირველი ცოლის სახელია) შენს იქით გზა არ მაქვს!».

III. როგორ გავცილდეთ პირველ ცოლს?



ეგრეთ წოდებული «თაფლის თვის» გასვლის შემდეგ, აღმოვაჩინოთ უფრო მდიდარი საპატარძლო, ყოველგვარი აფიშებისა და განცხადებების გარეშე გავიპაროთ სახლიდან, ამოვხიოთ პასპორტიდან ფურცელი, რომელზეც ცოლია რეგისტრირებული, ისევ დავეცეთ მუხლებზე და ისევ ვიბღავლოთ «მანია, (ეს ჩემი მეორე ცოლის სახელია) მე უშენოდ სიცოცხლე არ მინდა».

IV. როგორ გავეყაროთ მეორე ცოლს?

აქ უკვე პასპორტიდან ფურცლის ამოხევა არ არის რეკომენდირებული, რადგან, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მხოლოდ ყდა შეგვრჩეს ხელში, ამიტომ სასურველია საერთოდ დავკარგოთ პასპორტი და ავიღოთ ახალი და ისევ გავიპაროთ სახლიდან, დავეცეთ მუხლებზე (შეიძლება ცალ მუხლზე) და ვიყვიროთ, «ციალა, (ეს ჩემი მესამე ცოლის სახელია) მღუპავ ხომ?!».

მეხუთე პუნქტს შეგნებულად გამოვტოვებ, რადგან ჩემს მეოთხე ცოლსაც

ციალა ერქვა და მისი მოჯადოებისას პუნქტ № 4-ში აღნიშნული მეთოდები იქნა გამოყენებული. გადავიდეთ პირდაპირ მეექვსე პუნქტზე, რომელშიც აღნიშნული იქნება, თუ როგორ მოვიქცი მე.

VI. ქალაქ თბილისიდან გავემგზავრე გორის რაიონის სოფ, ფლავისმანში. დავადგინე, რომ ამ სოფელში ცხოვრობს მასწავლებელი ნათელა ტატულაშვილი, რომელსაც საკუთარი სახლი და ბღვენახი ჰქონია და გადავწყვიტე მისი შერთვა. აქ უკვე წინა მუხლები აღარ განმიმეორებია და მუხლებში არ ჩავვარდნილვარ.

ნათელას მაჭანკლები გავუგზავნე და საქმე ბოლომდე მივიყვანე. შემდეგ წამოვწყვიტე ტახტზე, გადავხედე ჩემს მამულებს და მეშვიდე პუნქტზე დავიწყე ფიქრი. სწორედ ამ დროს, გამომძიებელმა მომიტანა სასამართლოს უწყება. მე მაშინვე შევიტყვე, რომ ფლავისმანში ჩემ საქმეს ჩაფლავება მოელოდა, ამიტომ დროებით თავი მოვარიდე აქაურობას. იძულებული ვარ შევსწყვიტო კონსულტაცია, რადგან მართლმსაჯულება დამიძებს, მაგრამ მე დავბრუნდები, მეგობრებო, მოვალ ახალახალი იდეებითა და პუნქტებით დატვირთული და იძულებით შეწყვეტილ მუშაობას განვაახლებ მამაკაცთა საკეთილდღეოდ.

მე არ მეშინია საზოგადოებრივი განკიცხვის, ვალდებულეხას ვკისრულობ მიღწეულით არ დავკმაყოფილდე.

ნუ დალონდებით, თავები მალა, მეგობრებო!

კონსულტაცია ჩაიწერა ხ. ვასაძემ.





ამ დღეებში ნიანგმა კვლავ გამართა კითხვა-პასუხის საღამო. აღნიშნულმა საღამომ დიდი ენთუზიაზმისა და ხითხითის ნიშნის ქვეშ ჩაიარა. კორესპონდენტებმა უალრესად საინტერესო კითხვებით მიმართეს ნიანგს, რომლებზედაც სათანადო პასუხი იქნა გაცემული. ვაქვეყნებთ ამ საღამოს სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

**კითხვა.** ძვირფასო „ნიანგო“, მე ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე № 52-ში ვცხოვრობ თავდაყირა, თუმცა მე მარტო კი არა, თერთმეტი ოჯახი. აი ფოტოლოკუმენტიც. ხომ ვერ გვეტყვის პატივცემული ნიანგი: როგორ მოვიქცეთ?




**პასუხი.** როგორც ჩანს, თქვენი სახლი უკულმაა აშენებული. კარგი იქნება თუ დაარღვევთ სახლს და წალმა ააშენებთ.

— მაშინ გვერდით რომ რეკლამაა, იმაზე გამოხატული დიასახლისები აღმოჩნდებიან ყირაზე.


— რადგან ასეა, ჩამოაყალიბეთ აკრობატული ჯგუფი და თქვენ ყირაზე მოსიარულე შესანიშნავ ექსცენტრულ კოლექტივს შექმნით. არის კიდევ ერთი გზა, კერძოთ, გადმოატრიალოთ ბინების მაჩვენებელი და წალმა დაკიდოთ, მაგრამ ეს საკითხის გადაწყვეტის ძალიან იოლი გზაა: ადამიანმა ყოველთვის რთული გზით უნდა იაროს.

**კითხვა.** პატივცემულო ნიანგო, მე გუდაურის ჩიხის № 4-ში ვცხოვრობ, ჩემი გვარი ოძელაშვილია. ამ ფოტოზე რომ სანაგვე ყუთებს ხედავთ, მთელი ჩვენი ეზოსია, ხოლო სანაგვე ყუთებთან რომ ფანჯრებია, მარტო ჩემია. ხომ ვერ მეტყვი, პატივცემულო ნიანგო, სახლში შევიტანო ეს სანაგვე ყუთები და მე თვითონ გამოვიდე გარეთ, აირწინალი ვიყილო და ისე ვიცხოვრო, თუ დავირქვა არსენა და ჩემი სახელოვანი წინაპაროვით ტყეს შევაფარო თავი.



**პასუხი.** აიღეთ სანაგვე ყუთები და დადგით დასუფთავების ტრესტის ინჟინერის ფანჯრებთან, რომლის განკარგულებითაც ეს სანაგვე ყუთები თქვენს ფანჯრებთან დადგეს, ნახოს ერთი როგორი საცხოვრებელია სანაგვე ყუთების გვერდით.


**კითხვა.** მე მეგელიკა ვარ ხალიბაური. დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის მცხოვრები, პატივცემულო ნიანგო, ადრე სხვა პროფესია მქონდა, ახლა ჯამბაზი ვავხდი. დიდად შემიწყო ხელი ჯამბაზობის რთული პროფესიის ათვისებაში ამ ბონდის ხილმა, ფოტოზე რომ არის აღბეჭდილი. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე—დანელიას გადაწყვეტილი აქვს მთელი სოფელი გააჯამბაზოს, მაგრამ ჯამბაზობას, გარდა სურვილისა, ნიჭიც უნდა, ამიტომ, ვინაც ვერ აითვისა ეს პროფესია თხოვეს დანელიას, ერთი ორი ფიცარი მაინც გადე ხილზე, კისრები რომ არ მოვიტეხოთო, მაგრამ ხომ არ მოგცლია. ჰოდა გვირჩიე. ძვირფასო ნიანგო, რამე.



**პასუხი.** ჯამბაზობა საციკო ხელოვნების ურთულესი დარგია. ბუნებრივია, მთელი სოფელი ვერ დაეუფლება მას. ამიტომ საჭიროა ხილზე გადგენილი ფიცრები. რადგან ამხედრობის საჭიროებას, გაბტარეთ ერთი თვის განმავლობაში, დღეში სამჯერ ამ „ხილზე“ და თვის ბოლოს შექველად ეცდება ფიცრების შოვნას, არა და, თუ ვერ იშოვა, თავის სახლს დაარღვევს და ისე გადებს ფიცრებს ხილზე, რამე თუ საკუთარი სული მწარეა.

**კითხვა.** დიდად პატივცემულო ნიანგო, არ გაგიკვირდეს, ჩემი ლაპარაკი არაფერს ნიშნავს. არც ის ნიშნავს არაფერს, რომ ვმოდრობ. მე მკვდარი ვარ, მკვდარი ოლეგ ივანოვი. არ გჯერა? გორის მმაჩის ბიუროს ამის შესახებ ოფიციალური საბუთიც კი გააჩნია.

— არ ვამაგიჟო!  
— ინებეთ საბუთი № 293 გაცემული 10/IX 1960 წელს გორის მმაჩის ბიუროს გამგის ჩუტკერაშვილის მიერ. საქმე იმაშია, რომ მე გავუგზავნე განცხადება სოხუმის მმაჩის ბიუროს, რათა გამოეგზავნათ ჩემთვის ჩემი დედის გარდაცვალების ცნობა, სოხუმის მმაჩის ბიურომ ეს ცნობა გადმოუგზავნა გორის მმაჩის ბიუროს. გორის მმაჩის ბიურომ კი აი რა გამომიგზავნა:



ეს ცნობა, რომელიც ეგზავნება ჩემს გარდაცვლილ დედას მ. ნ. რაგულინას, ადასტურებს, რომ მე ო. ივანოვი ვარ გარდაცვლილი და რომ ცნობის მისაღებად ჩემი გარდაცვლილი დედა უნდა გამოცხადდეს გორის მმაჩის ბიუროში. რა გქნა ახლა, ძვირფასო ნიანგო. დავუჯერო ჩუტკერაშვილს, მკვდარი რომ ვარ და მოვკვდე, თუ მოვკვლა ჩუტკერაშვილი?

**პასუხი.** ჩუტკერაშვილს მოკვლა არ უნდა, მუშაობაში ეტყობა, რომ ისედაც მკვდარია. უბრალოდ გაუგზავნეთ ასეთი შინაარსის დეკლარაცია: „აღლაცებული ვარ თქვენი მუშაობით, ვიზიარებ გორის მმაჩის ბიუროს მძიმე მდგომარეობას, ვწუხვარ, რომ გარდაცვალების გამო ვერ გესწრებთ“.

**სინგალისური იუმორი**  
**მოგაზული ნილაპი**

ბაზარში ნესეს ყიდიდნენ.  
ფარდულის გვერდით პატარა ზანგი ბიჭი ატუ-  
ხულიყო და თვალს არ აშორებდა მწიფე, სურნე-  
ლოვან ნესეს.  
გამყიდველმა შეამჩნია, აილო ერთი მოზრდილი  
ნესვი და ბიჭს უთხრა:  
— თუ ამ ნესეს სულ შეგებ, ფულს არ გამო-  
გართმევ, მიჩუქნია!  
ბიჭუნას თვალები გაუბრწყინდა.  
— კარგი, სერ, მხოლოდ, თუ შეიძლება, წავალ  
და ათ წუთში დაგბრუნდები.  
— ასე იყოს.—დაეთანხმა გამყიდველი.  
ბიჭი ათ წუთში დაბრუნდა, ნესვი გამოართვა  
და გემრიელად შეეცა.  
როდესაც მორჩა, გამყიდველმა კითხა.  
— კი, მაგრამ, ის ათი წუთი სად იყავი?  
— სახლში, სერ, იქ ზუსტად მაგზელა ნესვი  
გვექონდა და ვცადე, თუ სულ შეგებამი...  
\* \* \*  
— რას გრძნობდით, როცა ამ ლექსს წყრდით?  
— როგორ გითხრათ... აღმაფრენასა და... გაო-  
რებას, დიას, გაორებას!  
— მერე, ორივე ასე შტერი როგორ გამოდევით?  
თარგმნა **წ. გეგაზაშვილმა**

**ყუხუყაოლ  
ყუმური**

**ფრანგული იუმორი**  
**პროტაქციას ჩვეული**

ერთი კაცი მოსაწვევი ბარათით შევიდა პარიზის  
ოპერატორიაში, სადაც მზის დაბნელებას აკვირ-  
დებოდნენ.  
— დაგაგვიანდათ, უკვე დამთავრდა...—უთხრეს  
მას.  
— არაფერია,—თქვა დაგვიანებულმა,— ბატონ  
დირექტორს პირადად ვიცნობ და ჩემთვის გაი-  
მეორებს.  
**სტუმრად**  
— რამდენი წლისა ხარ, ბიჭიკო?  
— სახლში ხუთი წლისა ვარ, ხოლო, როცა რკი-  
ნიგზით ვმგზავრობთ—3 წლის.  
\* \* \*  
— ქალბატონო, რა ღირს ვაშლი?—კითხა პა-  
ტარა ბიჭმა გამყიდველს.  
— 6 ცალი 5 სუ, ჩემო პატარა მეგობარო.  
პატარამ თითებზე ჩამოთვალა: 6 ცალი 5 სუ,  
5 ცალი 4 სუ, 4 ცალი 3 სუ, 3 ცალი 2 სუ, 2 ცა-  
ლი 1 სუ, 1 ცალი?—არაფერი.  
— ქალბატონო, თუ ნებას მომცემთ, მხოლოდ  
ერთ ცალს ავიღებ...  
თარგმნა **ნ. მოისწრაფიშვილმა**

**გერმანული იუმორი**

— მართალია, რომ დიდი ყურები ხელგაშლი-  
ლობის ნიშანია?  
— ბუნების ხელგაშლილობისა, კი...  
\* \* \*  
ერთ კაცს დაათვალერებინეს კულტურის სა-  
სახლე, ბოლოს სასაუზმეში შეჩერდნენ.  
— მოგეწონათ სასახლე?  
— არა უშავს რა, მაგრამ რა საჭიროა აშენი  
სათავსო ასეთი პატარა სასაუზმისათვის?


**ესპანური იუმორი**  
**ჩისტორანში**

სენიორი—რა ღირს პური?  
ოფიცინანტი—უფასოა.  
სენიორი—რა ღირს მარილი?  
ოფიცინანტი—მარილიც უფასოა.  
სენიორი—ძალიან კარგი, გაშალეთ პურ-მა-  
რილი.  
**გაკვეთილზე**

მასწავლებელი—როდის არის კარგი ვაშლის  
მოკრეფა?  
მოსწავლე—როდესაც ძალს ძინავს და პატ-  
რონი შინ არ არის.  
თარგმნა **ბ. გოგუამ**

**ფრანგული იუმორი**  
**პროტაქციას ჩვეული**

ერთი კაცი მოსაწვევი ბარათით შევიდა პარიზის  
ოპერატორიაში, სადაც მზის დაბნელებას აკვირ-  
დებოდნენ.  
— დაგაგვიანდათ, უკვე დამთავრდა...—უთხრეს  
მას.  
— არაფერია,—თქვა დაგვიანებულმა,— ბატონ  
დირექტორს პირადად ვიცნობ და ჩემთვის გაი-  
მეორებს.  
**სტუმრად**  
— რამდენი წლისა ხარ, ბიჭიკო?  
— სახლში ხუთი წლისა ვარ, ხოლო, როცა რკი-  
ნიგზით ვმგზავრობთ—3 წლის.  
\* \* \*  
— ქალბატონო, რა ღირს ვაშლი?—კითხა პა-  
ტარა ბიჭმა გამყიდველს.  
— 6 ცალი 5 სუ, ჩემო პატარა მეგობარო.  
პატარამ თითებზე ჩამოთვალა: 6 ცალი 5 სუ,  
5 ცალი 4 სუ, 4 ცალი 3 სუ, 3 ცალი 2 სუ, 2 ცა-  
ლი 1 სუ, 1 ცალი?—არაფერი.  
— ქალბატონო, თუ ნებას მომცემთ, მხოლოდ  
ერთ ცალს ავიღებ...  
თარგმნა **ნ. მოისწრაფიშვილმა**



უტექსტო ხუმრობა ბოლოსურ ჟურნალ „შპილკიდან“



გ. ლომიძე

„მისი ყეფა მხოლოდ მარტო შურია...  
ვის აშინებს, ხასაცილო მურია?!“